ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს **2024 წლის 31 იანვრის** სხდომის

ოქმი #1

ამონაწერი

სხდომას ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 35 წევრიდან - 23

დღის წესრიგი:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის ანკეტა - კითხვარის ალტერნატიულ ვერსიებისა და სამაგისტრო პროგრამების ანოტაციების დამტკიცება
მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2. „სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის“ და „პოლიტიკის ანალიზისა და საჯარო პოლიტიკის“ სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელთა შეცვლის შესახებ
მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
3. “ევრაზიისა და კავკასიის კვლევების“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის შეცვლისა და კოორდინატორის დამტკიცების შესახებ
მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
4. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესში“ განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ
მომხს:თ. დოლბაია, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
5. თსუ-ს პროგრამების კატალოგიდან რამდენიმე სამაგისტრო პროგრამის ამოღების შესახებ
მომხს:თ. დოლბაია, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
6. „ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის (რუსული კომპონენტებით)“ საბაკალავრო პროგრამაში ცვლილებების შესახებ
მომხს:თ. დოლბაია, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
7.ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების განახლებული რედაქციის განხილვა
მომხს. ს. დუნდუა
8. კრედიტების აღიარების კომისიაში ცვლილების განხორციელება
მომხს. ს. დუნდუა
9. დოქტორანტ ვაჟა შატბერაშვილის დისერტაციის დაცვის თარიღის განსაზღვრა
მომხს. ს. დუნდუა
10. დოქტორანტ თემურ გუგუშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიისა და რეცენზენტების დამტკიცება
მომხს. ს. დუნდუა
11. სადოქტორო თემების სათაურებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელების დატკიცება
მომხს. ს. დუნდუა
12. თვითშეფასების ანკეტა-კითხვარის შედეგების დამტკიცება
მომხს. ს. დუნდუა

მოისმინეს: 1. მაგისტრატურის ანკეტა - კითხვარის ალტერნატიული ვერსიების დამტკიცების აუცილებლობის შესახებ ისაუბრა თ. დოლბაიამ და დამსწრეთ წარუდგინა ანკეტა - კითხვარის ვერსიები და სამაგისტრო პროგრამების ანოტაციები

აზრი გამოთქვეს: ს. დუნდუამ, გ. გოგსაძემ, ზ. დავითაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის ანკეტა - კითხვარის ორი ალტერნატიული ვერსია და სამაგისტრო პროგრამების ანოტაციები და დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ - ის აკადემიურ საბჭოს.

მოისმინეს: 2. თ.დოლბაიამ დამსწრეთ გააცნო პროფესორ ალექსანდრე კუხიანიძისა და ასოცირებულ პროფესორ სალომე დუნდუას განცხადებები, „პოლიტიკის ანალიზისა და საჯარო პოლიტიკის" და „სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის" სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით. ორივე პროფესორი, ორივე სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელია და საუნივერიტეტო რეგულაციის თანახმად, სურთ ერთი პროგრამის ხელმძღვანელობა.

„სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის" სამაგისტრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა „საჯარო მმართველობის მაგისტრი". სწავლების სფეროს კლასიფიკატორში განხორციელებული ცვლილებების გამო, მოცემულ კვალიფიკაციას პროგრამა ანიჭებს 2024 წლის ბოლომდე და წყვეტს არსებობას. არსებული სამაგისტრო პროგრამის ბაზაზე, შეიქმნა ახალი სამაგისტრო პროგრამა, „პოლიტიკის ანალიზი და საჯარო პოლიტიკა", მისანიჭებელი კვალიფიკაციით - „პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი". სწორედ ამ ვითარებამ განაპირობა, პროფესორთა მიერ, ორივე სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელობა.

აზრი გამოთქვეს: ს. დუნდუამ, გ. გოგსაძემ, ზ. დავითაშვილმა და სხვ.

დაადგინეს:

1. „სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელად დამტკიცდეს პროფესორი ალექსანდრე კუხიანიძე და გათავისუფლდეს ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა;
2. „პოლიტიკის ანალიზისა და საჯარო პოლიტიკის" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელად დამტკიცდეს ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა და გათავისუფლდეს პროფესორი ალექსანდრე კუხიანიძე;

მოისმინეს: 3. თ. დოლბაიამ საბჭოს წევრებს გააცნო საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელის, ფ. ასანიშვილის წერილი, "ევრაზიისა და კავკასიის კვლევების" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის შეცვლისა და კოორდინატორის დამტკიცების შესახებ. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ ჯერ კიდევ 2023 წლის 15 სექტემბერს, "ევრაზიისა და კავკასიის კვლევების" პროგრამის ხელმძღვანელმა დავით მაცაბერიძემ განცხადებით მიმართა ფაკულტეტის დეკანს (ოქმი#7, 2023) და უარი განაცხადა ხელმძღვანელობაზე.

აზრი გამოთქვეს: ს. დუნდუამ, ფ. ასანიშვილმა, ზ. დავითაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: "ევრაზიისა და კავკასიის კვლევების" პროგრამის ხელმძღვანელად, ნაცვლად დავით მაცაბერიძისა, დამტკიცდეს პროფესორი თორნიკე თურმანიძე, ხოლო პროგრამის კოორდინატორად - ასოცირებული პროფესორი ფიქრია ასანიშვილი.

მოისმინეს: 4. ფაკულტეტის „სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესში" განსახორციელებელი ცვლილების აუცილებლობის შესახებ ისაუბრა თ. დოლბაიამ და დამსწრეთ წარუდგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე (წარდგენის თარიღი:23.01.2024) და მიეცა ვადა რეკომენდაციების გასათვალისწინებლად, მათ შორის: ....„ რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომებზე ინდივიდუალურად იმუშაონ სტუდენტებმა, რათა ნათელი იყოს თითოეული მაგისტრანტის როლი სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში და აღნიშნული საკითხი თანხვედრაში მოვიდეს უმაღლესი განათლების შესახებ კანონთან (3.2)".

აზრი გამოთქვეს: ს. დუნდუამ, კ. შუბითიძემ და სხვ.

დაადგინეს: გაუქმდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 20 ივლისის მე-8 დადგენილება (ოქმი #6) და დამტკიცდეს ცვლილებები სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესში. კერძოდ:

1) „სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესის" პირველი მუხლის, მეორე აბზაცის პირველი წინადადებიდან, ამოღებულ იქნეს ფრჩხილებში ჩასმული განმარტება - „ (სოციოლოგიის პროგრამის შემთხვევაში არა უმეტეს 2 თანაავტორის მიერ)", ასევე, მეორე წინადადება -„თანაავტორობისას ანოტაციაში გამოკვეთილი და მითითებული უნდა იყოს თითოეული მონაწილის წვლილი"... და უნდა იკითხებოდეს ასე - „სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს" , შემდეგ, როგორც ტექსტშია;
2) დანართი#2 - ში, „სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების სტანდარტის" მე - 9 პუნქტის პირველი წინადადებიდან, ამოღებულ იქნეს ფრჩხილებში ჩასმული განმარტება - „(ჯგუფური სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში არანაკლებ 70 გვერდისა)" და უნდა იკითხებოდეს ასე - „ ნაშრომის მოცულობა - არანაკლებ 40 გვერდისა", შემდეგ, როგორც ტექსტშია.

მოისმინეს: 5. თსუ-ს პროგრამების კატალოგიდან რამდენიმე სამაგისტრო პროგრამის ამოღების აუცილებლობის შესახებ ისაუბრა თ. დოლბაიამ. ამ პროგრამებს გაუვიდა აკრედიტაციის ვადები და არ ჰყავთ სტუდენტები. რაც შეეხება „მასობრივი კომუნიკაციებისა და მედიის კვლევების" პროგრამას, გაიარა რეაკრედიტაცია ახალი სახელწოდებით - „მედიის კვლევები"

აზრი გამოთქვეს: მ. წერეთელმა, ნ. ტალახაძემ, ნ. დურგლიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: ამოღებულ იქნეს ქვემოთჩამოთვლილი სამაგისტრო პროგრამები თსუ-ს პროგრამების კატალოგიდან და დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ - ს აკადემიურ საბჭოს. ესენია:

1. ინფორმაციული საზოგადოება და მედიის სოციოლოგია;
2. კულტურისა და მედიის სოციოლოგია;
3. გენდერის კვლევები (ინგლისურენოვანი);

4. მასობრივი კომუნიკაციებისა და მედიის კვლევები.

მოისმინეს: 6. თ.დოლბაიამ დამსწრეთ გააცნო „ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის (რუსული კომპონენტებით)“ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელის, ხათუნა მაისაშვილის წერილი, პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ

აზრი გამოთქვეს: ს. დუნდუამ, ხ. მაისაშვილმა, მ. შამილიშვილმა, მ. წერეთელმა და სხვ.

დაადგინეს: შევიდეს გარკვეული ცვლილებები „ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის (რუსული კომპონენტებით)“ საბაკალავრო პროგრამაში. კერძოდ:

1. სწავლების დეტალური სფერო მოვიდეს კოდთან შესაბამისობაში და განისაზღვროს - 0321 (ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა), ნაცვლად 0703-ისა (სოციალური მეცნიერებები);
2. შეეცვალოს პროგრამას სახელწოდება და ნაცვლად „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია (რუსული კომპონენტებით)“ , ეწოდოს - „ჟურნალისტიკა“.
3. პროგრამაზე სწავლის ენად, განისაზღვროს რუსული ენა და შუამდგომლობის წერილი გაეგზავნოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საკითხის განსახილველად.

მოისმინეს: 7. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ უნივერსიტეტის ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით, საჭირო იყო ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებაში გარკვეული ცვლილებების შეტანა და დოქტორანტურის დებულების განახლებული ვერსიის მიღება (იხილეთ დანართი 1). ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს გაუზიარა დაგეგმილი ცვლილებების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა: თ. დოლბაიამ, გ. გოგსაძემ; ასოცირებულმა პროფესორებმა: ნ. დურგლიშვილმა, მ. წერეთელმა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება განახლებული რედაქციით და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

მოისმინეს: 8. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საჭირო იყო კრედიტების აღიარების კომისიაში გარკვეული ცვლილებების შეტანა და შესაბამისად, განახლებული კომისიის დამტკიცება. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს გააცნო კომისიის განახლებული შემადგენლობა.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა რ. გაჩეჩილაძემ.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილებები კრედიტების აღიარების კომისიაში და დამტკიცდეს შემდეგი სახით:

1. თამარ დოლბაია - კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. მარეხ დევიძე - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. ირმა ჩხეიძე - კომისიის მდივანი, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური

4. რევაზ ჯორბენაძე - პროფესორი, ინტერდისციპლინური მიმართულება
5. ხათუნა მაისაშვილი - ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება
6. ნინო დურგლიშვილი - ასოცირებული პროფესორი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება
7. კონსტანტინე შუბითიძე- ასოცირებული პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება
8. სანდრო ტაბატაძე - ასისტენტ პროფესორი, ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი
9. ელენე გელაშვილი - ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი
10. ნათელა მონიავა - ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე

მოისმინეს: 9. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საჭირო იყო დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ,,ორგანიზაციული და პერსონალური განვითარება'' დოქტორანტ ვაჟა შატბერაშვილის დისერტაციის დაცვის თარიღის დამტკიცება. ს. დუნდუას განცხადებით ვ. შატბერაშვილის სადისერტაციო ნაშრომის „თანამედროვე საქართველოს კულტურის სახელმწიფო პოლიტიკის მოდელი და მისი ინსტიტუციური მართვის სისტემა" (სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი ნოდარ ბელქანია) სამივე რეცენზია დადებითია. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს დისერტაციის დაცვის თარიღად შესთავაზა 13 თებერვალი, 15:00 საათი, თსუს VI კორპუსის N303 აუდიტორია.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ზ. დავითაშვილმა

დაადგინეს: ვ. შატბერაშვილის სადისერტაციო ნაშრომის „თანამედროვე საქართველოს კულტურის სახელმწიფო პოლიტიკის მოდელი და მისი ინსტიტუციური მართვის სისტემა" დაცვის თარიღად განისაზღვროს 13 თებერვალი, 15:00 საათი, თსუს VI კორპუსის N303 აუდიტორია.

მოისმინეს: 10. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საჭირო იყო „სოციოლოგიის" დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ თემურ გუგუშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიისა და რეცენზენტების დამტკიცება. სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება:მოსახლეობის საარსებო წყაროების დივერსიფიკაცია რურარულ საქართველოში; სამეცნიერო ხელმძღვანელი -ასოცირებული პროფესორი ნინო დურგლიშვილი/პროფესორი დირკ როეფი.

სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები

1. თეონა მატარაძე - სოციალური ანთროპოლოგიის დოქტორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინური მიმართულების ასოცირებული პროფესორი

პუბლიკაცია: Mataradze, T. (2015). *Rural locals, distant states: citizenship in contemporary rural Georgia* (Doctoral dissertation, Dissertation, Halle (Saale), Martin-Luther-Universität Halle-Wittenberg, 2015).

2. დიმიტრი ჯაფარიძე - ბიზნეს-ადმინისტრირების დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი

პუბლიკაცია: Japaridze, D. (2010). Post-Crisis Challenges of Regional Economic Development in Georgia.

3. ჩუან ლიაო - ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დოქტორი, არიზონას უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

პუბლიკაცია: Sun, X., Liu, H., Liao, C., Nong, H., & Yang, P. (2024). Understanding recreational ecosystem service supply-demand mismatch and social groups' preferences: Implications for urban–rural planning. *Landscape and Urban Planning*, *241*, 104903.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია

1. იაგო კაჭკაჭიშვილი - ფილოსოფიის დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის საგანმანათლებლოა პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი;

პუბლიკაცია: Verulava, T., Kapanadze, N., Chilingarashvili, S., Panchulidze, T., Kachkachishvili, I., Jorbenadze, R., & Dangadze, B. (2019). Socialization among the rural-to-urban migrant students in Georgia.

2. ლაშა მათიაშვილი - ფილოსოფიის დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

პუბლიკაცია:Matiashvili, L. (2022). Collective Affective Intentionality and Phenomenology of Togetherness.

3. ანა დიაკონიძე - სოციოლოგიის დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუსაობის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

პუბლიკაცია: Diakonidze, A. (2022). Gig workers and their social protection needs in Georgia. *environment and society*, *4*(4), 1-29.

4. ია იაშვილი - გეოგრაფიის დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

პუბლიკაცია: Iashvili, I., Doghonadze, T., & Gvenetadze, T. (2019). Sustainable Tourism for Contribution to Economic Growth and Social Inclusion of Rural Communities in Post-Soviet Georgia.

5. მერაბ ხოხობაია - ეკონომიკის დოქტორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის ასოცირებული პროფესორი;

პუბლიკაცია: Roblek, V., Petrović, N. N., Gagnidze, I., & Khokhobaia, M. (2021). Role of a digital transformation in development of a rural tourism destinations. *შრომების კრებული*, 297.

6. რატი შუბლაძე - სოციოლოგიის დოქტორი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი;

პუბლიკაცია: Shubladze, R. (2016). Evaluation of the Georgian Government's Performance Through the Lens of Public Trust. *Caucasus Analytical Digest*, (85), 5-11.

7. თამარ ქობლიანიძე - ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

პუბლიკაცია: ALEXANDRI, C., KUTATELADZE, R., KOBLIANIDZE, T., KOCHLAMAZASHVILI, L., VALCHOVSKA, S., & PENEVA, M. AGRICULTURAL ECONOMICS AND RURAL DEVELOPMENT.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ნ.ბელქანიამ

დაადგინეს: „სოციოლოგიის" დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ თემურ გუგუშვილის სადისერტაციო ნაშრომის „მოსახლეობის საარსებო წყაროების დივერსიფიკაცია რურარულ საქართველოში" (სამეცნიერო ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი ნინო დურგლიშვილი/პროფესორი დირკ როეფი) დაცვის კომისიად და რეცენზენტებად დამტკიცდნენ:

სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები

1. თეონა მატარაძე - სოციალური ანთროპოლოგიის დოქტორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინური მიმართულების ასოცირებული პროფესორი
2. დიმიტრი ჯაფარიძე - ბიზნეს-ადმინისტრირების დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი
3. ჩუან ლიაო - ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დოქტორი, არიზონას უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია

1. იაგო კაჭკაჭიშვილი - ფილოსოფიის დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი;
2. ლაშა მათიაშვილი - ფილოსოფიის დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
3. ანა დიაკონიძე - სოციოლოგიის დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
4. ია იაშვილი - გეოგრაფიის დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
5. მერაბ ხოხობაია - ეკონომიკის დოქტორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის ასოცირებული პროფესორი;
6. რატი შუბლაძე - სოციოლოგიის დოქტორი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი;
7. თამარ ქობლიანიძე - ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მოისმინეს: 11. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია სადოქტორო თემების სათაურებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელების დამტკიცების, ასევე, სადისერტაციო ნაშრომის სათაურების დაზუსტების საკითხი (იხილეთ დანართი 2).
აზრი გამოთქვეს: ნინო დურგლიშვილმა, ხ. მაისაშვილმა, ვ. ლორთქიფანიძემ.
დაადგინეს: დამტკიცებულ იქნეს სადოქტორო თემების სათაურები და სამეცნიერო ხელმძღვანელები და დაზუსტდეს სადისერტაციო ნაშრომის სათაურები

მოისმინეს: 12. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია თვითშეფასების ანკეტა - კითხვარების შესახებ. ს. დუნდუას განცხადებით, ანკეტა-კითხვარი შეავსო ფაკულტეტის 37 - მა აკადემიურმა პერსონალმა და 26 მოწვეულმა პედაგოგმა. მირებული მონაცემების გადამუშავების შედეგად გამოიკვეთა, რომ აკადემიური პერსონალი ძირითადად სრულად ასრულებს როგორც სასწავლო ასევე კვლევით დატვირთის კომპონენტებს. პროფესორების მიერ გამოქვეყნებულ სტატიებს შორისაა მაღალრეიტინგულ და იმპაქტპაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიებიც.
აზრი გამოთქვეს: ასოცირებული პროფესოროს, ნინო დურგლიშვილის აზრით, კარგი იქნება რომ აკადემიურ პერსონალს მეტი კომუნკაცია ჰქონდეს ერთმანეთთან კვლევითი პროექტების განხორციელებისას, რაც გაუმჯობესებდა როგორც კვლევის ხარისხს, ასევე ერთმანეთის კვლევების ცნობადობასაც გაზრდიდა.
დაადგინეს: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიოურმა და მოწვეულმა პერსონალმა თვითშეფასების შევსებული კითხვარების საფუძველზე, შესარულა მათთვის დაკისრებული სასწავლო და კვლევითი საქმიანობა მაღალ დონეზე. აღნიშნული საკითხი გადაეცეს განსახილველად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე სალომე დუნდუა

31 იანვარი
2024

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

სალომე დუნდუა

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

მალხაზ მაცაბერიძე

ალექსანდრე კუხიანიძე

ზვიად აბაშიძე

თამარ ქარაია

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

თამარ დოლბაია

გიორგი გოგსაძე

რევაზ გაჩეჩილაძე

ვაჟა ლორთქიფანიძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

ზურაბ დავითაშვილი

ფიქრია ასანიშვილი

კონსტანტინე შუბითიძე

დავით მაცაბერიძე

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება

იაგო კაჭკაჭიშვილი

ამირან ბერძენიშვილი

ნინო დურგლიშვილი

ნათელა ფარცხალაძე

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

მარი წერეთელი

მანანა შამილიშვილი

ნანული ტალახაძე

ხათუნა მაისაშვილი

ნინო ჭალაგანიძე

ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულება

რევაზ ჯორბენაძე

ნოდარ ბელქანია

ზურაბ აბაშიძე

თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

იაკობ ორმოცაძე

ლუკა ტაბიძე

ნინა კარანაია

დიტო ბელქანია

ალექსანდრე ფასეიშვილი

მარიამ ჯეჯია

თამარ ბიბიჩაძე

კახა კუჭუხიძე

ალექსანდრე გაბაშვილი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს
ჭალბატონ თამარ დოლბაიას
ამავე ფაკულტეტის დეკანის, ასოცირებული პროფესორის
სალომე დუნდუას

განცხადება

მოგახსენებთ, რომ ბიზნესისა და ადმინისტრირების სფეროში მეშავალი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის პროცესის გადავადებამ გამოიწვია სამაგისტრო პროგრამის „სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა" აკრედიტაციის ვადის გადაწევაც. მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა საჯარო მმართველობის მაგისტრი. სწავლების სფეროს კლასიფიკატორში განხორციელებული ცვლილებების გამო, მოცემულ ხარისხს აღნიშნული პროგრამა გასცემს 2024 წლის ბოლომდე. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამა 2024 წლის ბოლოს წყვეტს არსებობას. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ ეტაპზე გახლავართ ორი სამაგისტრო პროგრამის „სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა" და „პოლიტიკის ანალიზი და საჯარო პოლიტიკა" ხელმძღვანელი. რადგან უნივერსიტეტის რეგულაციით იკრძალება ორი სამაგისტრო პროგრამის ერთდროულად ხელმძღვანელობა, უარს ვაცხადებ სამაგისტრო პროგრამის „სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა" ხელმძღვანელობაზე. გთხოვთ მისცეთ ჩემს განცხადებას მესაბამისი მსვლელობა.

პატივისცემით,

სალომე დუნდუა
14.01.2024

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს
ქალბატონ თამარ დოლიბაიას
ამავე ფაკულტეტის პროფესორის
ალექსანდრე კუბიანიძის

განცხადება

მოგახსენებთ, რომ ბიზნესისა და ადმინისტრირების სფეროში შემავალი მოქცეული საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის პროცესის გადავადებამ გამოიწვია სამაგისტრო პროგრამის „სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა" აკრედიტაციის ვადის გადაწევაც. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აღმოჩნდა, რომ მოცემულ ეტაპზე გაბლავართ ორი სამაგისტრო პროგრამის „სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა" და „პოლიტიკის ანალიზი და საჯარო პოლიტიკა" ხელმძღვანელი. რადგან უნივერსიტეტის რეგულაციით იკრძალება ორი სამაგისტრო პროგრამის ერთდროულად ხელმძღვანელობა, უარს ვაცხადებ სამაგისტრო პროგრამის „პოლიტიკის ანალიზი და საჯარო პოლიტიკა" ხელმძღვანელობაზე. გთხოვთ მისცეთ ჩემს განცხადებას შესაბამისი მსვლელობა.

პატივისცემით,

ალექსანდრე კუბიანიძე

15-01-2024

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს

პროფესორ თამარ ლომაიას

ამავე ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების

მიმართულების ხელმძღვანელს ასოცირებულ პროფესორს

ფიქრია ასანიშვილს

მიმართვა

ქალბატონო თამარ,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 18 იანვარს შედგა საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების შეხვედრა. სხვა განსახილველ საკითხებთან ერთად, დაისვა საკითხი სამაგისტრო პროგრამის „ევრაზიისა და კავკასიის კვლევების“ ხელმძღვანელის არჩევასთან დაკავშირებით. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის აკადემიურმა პერსონალმა სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელად აირჩია პროფესორი თორნიკე თურმანიძე, ხოლო ასოცირებული პროფესორი ფიქრია ასანიშვილი აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორად დასახელდა.

გთხოვთ განიხილოთ აღნიშნული ცვლილებები და წარუდგინოთ ფაკულტეტის საბჭოს.

პატივისცემით,

ფიქრია ასანიშვილი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი

29.01.2024

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება აწესრიგებს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ტექსტში შემდგომ - ,,უნივერსიტეტი“) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე (ტექსტში შემდგომ - „ფაკულტეტი“) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის აუცილებელ პროცედურას ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, ფაკულტეტის დებულებისა და უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.
2. დოქტორანტურის მიზანია, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე აკადემიური სფეროსა და დასაქმების ბაზრისათვის მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო ცოდნითა და პედაგოგიური უნარებით აღჭურვილი კადრების მომზადება, აკადემიური და კვლევითი რესურსების დაახლოება, ქვეყანაში სამეცნიერო და ინოვაციური მუშაობის გააქტიურება და ხარისხის ამაღლება, საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში ჩართვა, ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბების მიზნით ახალი ცოდნის შექმნისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, განხორციელებული კვლევითი პროექტების შესაბამისობის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

მუხლი 2. დოქტორანტურა

1. დოქტორანტურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხური.
2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა - აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა და რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონისთვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს.
3. დოქტორანტურა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს.
4. დოქტორანტი არის პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში.
5. დოქტორის ხარისხი არის აკადემიური ხარისხი, რომელიც უნივერსიტეტის დოქტორანტურის კურსდამთავრებულს ენიჭება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების შესრულებისა და დისერტაციის დაცვის შემდეგ.
6. დოქტორანტურის კურსდამთავრებულს დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის დასახელება განისაზღვრება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად.
7. ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭება ხორციელდება მისი განმახორციელებელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/დაწესებულებების მიერ, რაც განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულებით. ერთობლივი აკადემიური ხარისხი არის საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შედეგად, მათ მიერ პირისთვის აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დამთავრების შემდეგ, ერთობლივად მინიჭებული კვალიფიკაცია.

მუხლი 3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

1. ფაკულტეტი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამას შეიმუშავებს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მონაწილეობით. ხოლო ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებთან, უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის/სპეციალობის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებთან, პარტნიორ უნივერსიტეტებთან, სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულებასთან ერთად. სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.
2. უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის პროექტს განიხილავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტის საბჭო. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით დოქტორანტურის პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.
3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამას ხელმძღვანელობს ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
4. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი, პარტნიორი სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულების პერსონალი, დოქტორანტურის პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი.
5. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს კურიკულუმის შემუშავების პროცესს, რომელშიც მონაწილეობენ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები, შესაბამისი დარგის სპეციალისტები, დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელები; ასევე უზრუნველყოფს კურიკულუმის შემუშავების პროცესის საჯაროობასა და გამჭვირვალობას.
6. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს ევალება: პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება; სტუდენტთა ინფორმირება კურიკულუმის შესახებ; დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად კონსულტაციის გაწევა სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ოპტიმალურად დაგეგმვა/მონიტორინგის მიზნით და სხვ.
7. ერთი და იგივე პირი შეიძლება იყოს დოქტორანტურის მხოლოდ ერთი პროგრამის ხელმძღვანელი.
8. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის წარდგენისა და დამტკიცების პროცედურა განისაზღვრება უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით.

9. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო გრანტის, საუნივერსიტეტო დაფინანსების, გარე დონორებისა ან/და თვითდაფინანსების ფორმით.

მუხლი 4. დოქტორანტურაში სწავლის უფლება

1. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე პირს.
2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესი

1. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება, როგორც წესი, შემოდგომის სემესტრში, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, რაზედაც გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის დეკანი.
2. დოქტორანტურაში ჩარიცხვისთვის წარსადგენი საბუთების ნუსხა და საბუთების მიღების ვადები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.
3. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი სამეცნიერო კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ/გერმანულ/ფრანგულ ენას, მოეთხოვება ამ უცხოური ენის C1 დონეზე ცოდნა.
4. დოქტორანტობის კანდიდატი, რომლისთვისაც ქართული ენა არაა მშობლიური და სურს სწავლა ქართულენოვან პროგრამაზე, ვალდებულია წარმოადგინოს ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი, ან ჩააბაროს გამოცდა ქართულ ენაში.
5. დოქტორანტობის კანდიდატი დოქტორანტურაში სწავლის უფლების მოსაპოვებლად:

ა) წარმოადგენს სადოქტორო კვლევით პროექტს – „პროსპექტუსს“ (დანართი N1); ბ) გადის გასაუბრებას ან/და აბარებს გამოცდას (წერითი ან ზეპირი) დეკანის ბრძანებით შექმნილ შესაბამის დარგობრივ მიმღებ კომისიასთან; გ) აბარებს უცხო ენის გამოცდას ან ადასტურებს უცხო ენის ცოდნას შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

6. დოქტორანტობის კანდიდატის გასაუბრების ან/და სპეციალობაში გამოცდის შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს წინასწარ დამტკიცებული, საჯარო და ხელმისაწვდომი.
7. დოქტორანტობის კანდიდატთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს ყველა მხარის ვალდებულებებსა და უფლებებს.
8. დოქტორანტობის კანდიდატთან გაფორმებული ხელშეკრულების შემდეგ, დეკანის წარდგინების საფუძველზე გამოიცემა რექტორის ბრძანება

მუხლი 6. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

1. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

2. სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში/სპეციალობაში/მიმართულებაში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები ბოლო 10 წლის განმავლობაში.

3. სამეცნიერო ხელმძღვანელმა შეიძლება უხელმძღვანელოს აქტიური სტატუსის მქონე არაუმეტეს 7 დოქტორანტს.

4. სამეცნიერო ხელმძღვანელი სისტემატურ კონსულტაციას უწევს და კონტროლს უწევს დოქტორანტს სასწავლო და კვლევითი კომპონენტების დაგეგმვისა და განხორციელების, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისა და სამეცნიერო სტატიების შექმნის პროცესში.

5. სამეცნიერო ხელმძღვანელი, ხელმძღვანელობაზე უარის თქმის შემთხვევაში, სწავლის ნებისმიერ ეტაპზე, დასაბუთებულ განცხადებას წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

6. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი, მათ შორის შესაბამისი კომპეტენციის მქონე, დოქტორის ხარისხის მქონე უცხოელი.

7. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელსა და სადისერტაციო თემის სათაურს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო დოქტორანტის ჩარიცხვიდან პირველი ორი სემესტრის განმავლობაში.

მუხლი 7. დოქტორანტურაში სწავლის პირობები

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს 30 - 40 ECTS კრედიტს.

2. დოქტორანტის ჩარიცხვიდან ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ მისი მომდევნო სემესტრში რეგისტრაციის წინაპირობა არის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ისა და პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის შუამდგომლობა ფაკულტეტის წინაშე, რომელშიც უნდა დასაბუთდეს სწავლის/კვლევის გაგრძელების მიზანშეწონილობა.

3. ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ სტუდენტს ეძლევა არაუმეტეს 4 დამატებითი სემესტრის გავლის უფლება.

4. დისერტაციის სათაურის დაზუსტება შესაძლებელია დოქტორანტურაში სწავლის მთელ პერიოდში, რომელიც მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით.

5. დისერტაციის თემის შეცვლა დასაშვებია სწავლის პირველი ოთხი სემესტრის დასრულებამდე. ასეთ შემთხვევაში დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობით გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო

მუხლი 8. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები

1. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები ხელს უწყობს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური, სამეცნიერო და პროფესიული საქმიანობისათვის.

2. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი არის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს სამეცნიერო - კვლევით პროექტებსა (პროექტი 1, პროექტი 2 და პროექტი 3) და სადისერტაციო ნაშრომს.

3. სასწავლო კომპონენტი მოიცავს 30-40 კრედიტს და გულისხმობს შემდეგ აქტივობებს: ა) მინიმუმ ერთი დარგობრივი სემინარი (15 კრედიტი, სავალდებულო); ბ) პროფესორის ასისტენტობა (არანაკლებ 5 კრედიტი, სავალდებულო); გ) კვლევის მეთოდოლოგია (არანაკლებ 5 კრედიტი, სავალდებულო); დ) სხვა სასწავლო აქტივობები (არანაკლებ 5-15 კრედიტი) განისაზღვრება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით.

4. თუ დოქტორანტი ამავდროულად არის უნივერსიტეტის ასისტენტი/მასწავლებელი ან მოწვეული პერსონალი, უძღვება სალექციო, პრაქტიკულ, სემინარულ, ან/და ლაბორატორიულ მეცადინეობებს, შესრულებული სამუშაო შესაძლებელია ჩაეთვალოს პროფესორის ასისტენტობაში, დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით პროფესორის ასისტენტობისთვის განსაზღვრული სავალდებულო კრედიტების მინიმალური რაოდენობით (5 ECTS კრედიტი) იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სამუშაო შესრულდა ანაზღაურების გარეშე.

5. შესრულებული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები წარმოადგენს დისერტაციის დასაცავად წარდგენის წინაპირობას.

6. სემინარებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაცვის განრიგი მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით და ტარდება დასკვნითი გამოცდების პერიოდში.

მუხლი 9. სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1. სამეცნიერო-კვლევითი პროექტი 1-ის ფარგლებში, დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს სადოქტორო ნაშრომის აქტუალობა, კვლევის სიახლე, პრობლემის ფორმულირება, კვლევის მიზანი და ამოცანები, ჰიპოთეზა ან/და კვლევის კითხვა, კვლევის მეთოდოლოგია/დიზაინი, სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა/დოკუმენტების ანალიზი (წყაროების მითითებისას გამოყენებულ უნდა იყოს APA სტილი).

2. სამეცნიერო-კვლევითი პროექტი 2 -ის ფარგლებში, დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს კვლევის შედეგები. ასევე კვლევის მიზანი და ამოცანები, ჰიპოთეზა ან/და კვლევის კითხვა და კვლევის დიზაინის მოკლე აღწერა.

3. დოქტორანტი პირველ ორ სამეცნიერო-კვლევით პროექტს ირჩევს ელექტრონულ სასწავლო ბაზაში, აკადემიური რეგისტრაციის ფარგლებში. ამ მიზნით, აკადემიური რეგისტრაციის ვადის დასრულებიდან ერთ თვეში სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, დოქტორანტურის პროგრამების ხელმძღვანელებთან კონსულტაციის საფუძველზე შეადგენს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაცვის საფაკულტეტო გრაფიკს (სემესტრის დასკვნითი გამოცდების პერიოდში), რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის დეკანი.

4. დოქტორანტმა საუდიტორიო მეცადინეობების დასრულებიდან 10 დღის ვადაში სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ელექტრონული ვერსია უნდა ატვირთოს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მიერ მითითებულ მისამართზე, ხოლო ბეჭდური ვერსია სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციასთან ერთად, უნდა წარადგინოს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურში. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური ნაშრომის ორიგინალობის შემოწმების შემდგომ, უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ელექტრონული ვერსიის სამეცნიერო პროექტის შემფასებელი კომისიის წევრებთან გაგზავნას.

5. პირველი და მეორე სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შემფასებელი კომისია იქმნება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით. კომისია შედგება არანაკლებ 5 წევრისაგან. მასში შედის

შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალი და საჭიროების შემთხვევაში ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

6. სადისერტაციო თემის შეცვლის შემთხვევაში სავალდებულოა ახალი სადისერტაციო თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების წარდგენა და მათი განხილვისათვის, წინამდებარე დებულებით განსაზღვრული ყველა დადგენილი პროცედურის გავლა.

7. სამეცნიერო კვლევითი პროექტი 3-ის მიზანია - კომისიისთვის სადისერტაციო ნაშრომის შინაარსის გაცნობა და დოქტორანტისათვის რეკომენდაციების გაცემა.

8. სამეცნიერო კვლევითი პროექტი 3-ის წარდგენისა და შემოწმების პროცედურის გავლის მიზნით დოქტორანტი წერილობით მიმართავს ფაკულტეტის დეკანს. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ხელმძღვანელის თანხმობა და ნაშრომის ელექტრონული ვერსია (CD). ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე (გამონაკლისის გარდა), გაფორმებული მინიმალური სტანდარტით და ფაკულტეტის მიერ შემუშავებული სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციის შესაბამისად.

9. სამეცნიერო პროექტი 3-ის შემოწმების ორგანიზებას ახორციელებს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, რომელიც ნაშრომის წარდგენიდან 1 კვირის ვადაში შეამოწმებს ნაშრომის ორიგინალურობას (მათ შორის Turnitin-ის, ან ანალოგიური პროგრამის გამოყენებით) და ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციის მოთხოვნებთან შესაბამისობას. აკადემიური ეთიკის ნორმების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური შესაბამის მიმართულებას აწვდის შემოწმების შედეგებს და აძლევს რეკომენდაციას რეაგირებისთვის. ნაშრომის გაფორმების წესის დარღვევის არსებობისას, დოქტორანტს ეძლევა ერთი თვის ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად. ამ შემთხვევაში დოქტორანტი ვალდებულია გადამუშავებული ნაშრომი ხელახლა ოფიციალურად წარმოადგინოს წინამდებარე მუხლით განსაზღვრული წესით. აკადემიური ეთიკის ნორმების დარღვევის არარსებობის შემთხვევაში, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური გაუგზავნის სადისერტაციო ნაშრომს შესაბამის მიმართულებას. ნაშრომის გადაგზავნიდან 2 კვირაში დაინიშნება პროექტის დაცვის თარიღი.

10. სამეცნიერო პროექტი 3-ის დაცვა ტარდება მიმართულების სხდომაზე. შემოწმების პროცედურა ხდება დახურულ სხდომაზე, რომელსაც ესწრებიან მიმართულების პროფესორები, დარგის სპეციალისტები, ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დოქტორანტი და ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ი. დაცვის პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა)დოქტორანტის პრეზენტაცია (30-40 წუთი);

ბ) სადისერტაციო ნაშრომის შესახებ დისკუსია;

გ) გადაწყვეტილების მიღება საკვალიფიკაციო ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვების შესახებ (პროცესს არ ესწრებიან დოქტორანტი და მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი).

11. სამეცნიერო პროექტი 3-ის შემოწმების პროცედურის გავლის შედეგად შესაძლებელია გაიცეს შემდეგი რეკომენდაციები:

ა) სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურასთან დაკავშირებით;

ბ) კვლევის დიზაინთან დაკავშირებით;

გ) თეორიულ ჩარჩოსთან მიმართებაში; დ) ნაშრომის კვლევით კომპონენტთან მიმართებაში.

12. სამეცნიერო პროექტი 3-ის შემოწმების შედეგად მიმართულების სხდომაზე შესაძლებელია მიღებული იქნას შემდეგი გადაწყვეტილებები:

ა) ნაშრომი მზად არის დასაცავად;
ბ) ნაშრომში არის მცირედი ხარვეზები, რომელიც დოქტორანტმა უნდა გამოასწოროს და ამ მუხლით გათვალისწინებული შემოწმების პროცედურის გავლის გარეშე წარადგინოს მისი დაცვის მიზნით, სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნის საფუძველზე;
გ) სადისერტაციო ნაშრომში არის მნიშვნელოვანი ხარვეზები და საჭიროებს გადამუშავებას (ამ შემთხვევაში, დოქტორანტს ეძლევა არანაკლებ 3 თვისა ნაშრომის გასაუმჯობესებლად. ნაშრომის გაუმჯობესების შემდეგ დოქტორანტმა თავიდან უნდა გაიაროს განხილვის პროცედურა).
13. სამეცნიერო პროექტი 3-ის დაცვის პროცედურის მსვლელობა, მიღებული რეკომენდაციები და გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ადგენს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის წარმომადგენელი. დაცვის ოქმი, წარმოდგენილ სადოქტორო დისერტაციის ელექტრონულ ვერსიასთან ერთად, ინახება დოქტორანტის პირად საქმეში.

მუხლი 10. დისერტაცია

1. დისერტაცია წარმოადგენს სამეცნიერო ნაშრომს, რომელსაც დოქტორანტი იცავს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.
2. დისერტაცია უნდა ასახავდეს კვლევის დასაბუთებულ შედეგებს და ქმნიდეს ახალ ცოდნას.
3. დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ინგლისურ ენაზე.
4. სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის საბჭო.
5. ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.
6. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია უნდა ასახავდეს დისერტაციის ყველა კომპონენტს. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსიის მოცულობაა მინიმუმ 35 გვერდი (ბიბლიოგრაფიის გარეშე)
7. სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციას შეიმუშავებს ფაკულტეტი, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 11. დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის პროცედურა

1. დოქტორანტი ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის 4 ბეჭდურ და 1 ელექტრონულ ვერსიას (CD), მათ შორის ქართულად 3 და უცხო ენაზე 1 მაგარ ყდაში აკინძულ ეგზემპლარად (შემოკლებულ ვესრიას).
2. სადისერტაციო ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე (გამონაკლისის გარდა), ხოლო მისი შემოკლებული ვარიანტი ინგლისურ ენაზე;
3. სადისერტაციო ნაშრომთან ერთად დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს:
ა) განაცხადი, რომ სადისერტაციო ნაშრომი დოქტორანტის დამოუკიდებელი კვლევის შედეგია და არ შეიცავს პლაგიატს/გაყალბებულ მონაცემებს; ბ) დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი ანგარიში; გ) ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით

განსაზღვრული მოთხოვნებით შესრულებული დისერტაციის კვლევის შედეგები - დისერტაციის ძირითადი დებულებების ამსახველი მოკლე ვერსია - ინგლისურ (მინიმუმ 35 გვერდი ბიბლიოგრაფიის გარეშე) ენაზე; ასევე სადისერტაციო კვლევის შედეგები (2-3 გვერდი) ქართულ და ინგლისურ ენებზე; დ) სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა სადისერტაციო ნაშრომის საჯარო განხილვაზე დაშვების თაობაზე; ე) ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მიერ გაცემული ცნობა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრული სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებისათვის წაყენებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე; ვ) ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა სასწავლო და სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტების (პროექტების) შესრულების, დაგროვილი კრედიტებისა და სემესტრების სრულად გავლის თაობაზე. ზ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი და/ან რედაქტორის (რედკოლეგიის) მიერ გაცემული ცნობა გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო ნაშრომის შესახებ და ნაშრომის ბეჭდური ვერსია; თ) სამეცნიერო კონფერენციების მასალები, სადაც ასახული იყო სადისერტაციო ნაშრომის დებულებები და შედეგები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. დისერტაციის დაცვის აუცილებელი პირობაა სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული შემდეგი სახის ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება - რეფერირებადი (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის ბაზებში.

5. წარმოდგენილ დოკუმენტებს ამოწმებს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური.

6. სადისერტაციო მასალების წარდგენის შემდგომ ფაკულტეტის საბჭო ერთი თვის ვადაში მსვლელობას აძლევს საქმისწარმოებას.

7. ფაკულტეტის დეკანი ფაკულტეტის საბჭოს წევრებთან კონსულტაციის გავლის შემდგომ, უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობას.

8. დოქტორანტი თავისუფლდება სწავლის გადასახადისგან, თუ ნაშრომს წარმოადგენს მიმდინარე სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებში; ხოლო სემესტრის განმავლობაში ნაშრომის წარმოდგენისას - მომდევნო სემესტრიდან.

მუხლი 12. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები

1. ფაკულტეტის დეკანი ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებულ სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებს დასამტკიცებლად წარუდგენს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს.

2. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტად ინიშნება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის პირი, რომელსაც სადისერტაციო ნაშრომის საკვლევ სფეროში აქვს და პუბლიკაციები.

3. სადისერტაციო ნაშრომს აფასებს სამი რეცენზენტი, მათგან ერთი – უცხოელი.
4. რეცენზენტი ვალდებულია, შესაბამისი ფაკულტეტის მიერ დისერტაციის გადაცემიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის ვადაში გაეცნოს სადისერტაციო ნაშრომს და წარუდგინოს რეცენზია ფაკულტეტს. რეცენზენტი დასკვნას (რეცენზიას) წარადგენს დადგენილი რეცენზიის ფორმის შესაბამისად.
5. რეცენზენტთა მიერ წარმოდგენილი რეცენზიები ბეჭდური და ელექტრონული ფორმით გადაეცემა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას. უცხოელი რეცენზენტის რეცენზია უნდა იყოს თარგმნილი და ნოტარიულად დამოწმებული.
6. ორი რეცენზენტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, ფაკულტეტს საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტი არ დაიშვება დაცვაზე და მას მიეცემა სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის უფლება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში. შესწორებული ნაშრომის კვლავ უარყოფითად შეფასების შემთხვევაში დოქტორანტის ნაშრომი აღარ მიიღება დასაცავად.

მუხლი 13. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას ადგენს ფაკულტეტის საბჭო. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება დასამტკიცებლად გადაეცემა საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს.
2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია შედგება შესაბამისი მიმართულების/დარგის/სპეციალობის პროფესორების და ასოცირებული პროფესორების უნივერსიტეტის დამოუკიდებელი კვლევითი ერთეულის შესაბამისი დარგის მეცნიერ-თანამშრომლებისგან. ასევე, არანაკლებ 1 წევრი უნდა იყოს შესაბამისი დარგის/სპეციალობის მქონე პირი საქართველოდან ან/და უცხოეთიდან, რომელსაც უნივერსიტეტში არ უჭირავს აკადემიური თანამდებობა.
3. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრს უნდა ჰქონდეს შესაბამისი პუბლიკაციები დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო მიმართულებაში/დარგში/სპეციალობაში.
4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ შვიდი წევრისგან.
5. დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი და თემის რეცენზენტები არ შეიძლება იყვნენ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები.
6. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები, დისერტაციის დადებითად რეცენზირების შემთხვევაში, არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში ეცნობიან ფაკულტეტის მიერ გადაცემულ სადისერტაციო ნაშრომს, რეცენზენტების მიერ წარმოდგენილ დასკვნებს და შემოსულ გამოხმაურებებს
7. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
8. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და კომისიის მდივანს;
ბ) შეარჩევს დაცვის თარიღს და წარუდგენს დასამტკიცებლად ფაკულტეტის საბჭოს;
გ) უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურის ჩატარებას;

დ) მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული წესით აფასებს სადისერტაციო ნაშრომს.

მუხლი 14. დისერტაციის დაცვა

1. დისერტაციის დაცვა არის საჯარო. ინფორმაცია დაცვის შესახებ ქვეყნდება ფაკულტეტის ვებგვერდზე დისერტაციის დაცვამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.
2. დისერტაციის დაცვის ენა არის ქართული, თუ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი.
3. დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო დისკუსიას და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნას (შეფასებას).
4. დისერტაციის დაცვა შედგება შემდეგი პროცედურებისაგან: ა) დოქტორანტის პრეზენტაცია (20-30 წუთი); ბ) რეცენზიების საჯაროდ წაკითხვა; გ) დოქტორანტის მიერ რეცენზიებში წარმოდგენილ შენიშვნებზე და დასმულ შეკითხვებზე საჯარო პასუხის გაცემა/სამეცნიერო დისკუსია; დ) კომისიის დახურული სხდომა სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად და დასკვნის გაფორმება კომისიის ყველა წევრის ხელმოწერით; ე) სადისერტაციო ნაშრომის შეფასების გამოცხადება.
5. დისერტაციის დაცვის მსვლელობა და მიღებული გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ადგენს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანი და ხელს აწერენ კომისიის წევრები.
6. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის ერთ სხდომაზე შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი დისერტაციის დაცვა.
7. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს გადაეცემა შეფასებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში და ასევე განთავსდება შესაბამის ლექტრონულ სივრცეში, PDF ფორმატის სახით (სადისერტაციო ნაშრომის ერთი ეგზემპლარი; დისერტაციის ძირითადი დებულებების ამსახველი მოკლე ვერსია; დოქტორანტის განაცხადი; დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი ანგარიში; სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა; ცნობა სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებისათვის წაყენებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე; გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი და/ან რედაქტორის (რედკოლეგიის) მიერ გაცემული ცნობა გამოსაქვეყნებლად მიღებული სტატიის შესახებ და ნაშრომის ბეჭდური ვერსია; სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი 2018-2019 სასწავლო წლამდე ჩარიცხული დოქტორანტებისათვის; რეცენზენტების დასკვნები (რეცენზიები); სადისერტაციო ნაშრომის დაცვის ოქმი).

მუხლი 15. დისერტაციის შეფასება

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება

   კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით.
2. დისერტაციის საბოლოო შეფასებისთვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოჰყავს ქულათა საშუალო არითმეტიკულირომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით:

ა)"summa cum laude" - "ფრიადი" – შესანიშნავი ნაშრომი – შეფასების 91-100 ქულა;
ბ)"magna cum laude" - "ძალიან კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება, შეფასების 81– 90 ქულა;
გ)"cum laude - "კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება, შეფასების 71– 80 ქულა;
დ)"bene" - "საშუალო" – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს, შეფასების 61–70 ქულა;
ე)"rite" - "დამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს, შეფასების 51– 60 ქულა;
ვ)"insufficienter" - "არადამაკმაყოფილებელი" – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო, შეფასების 41–50 ქულა;
ზ) "sub omni canone" - "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს, შეფასების 40 ქულა და ნაკლები.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ - „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს დამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

6. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე დოქტორანტს კომისიის დასკვნას/შეფასებას აცნობს ზეპირად.

მუხლი 16. ხარისხის მინიჭება

1. უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის დოქტორანტს დოქტორის აკადემიურ ხარისხს (PHD) ანიჭებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო შესაბამისი დებულების მოთხოვნათა დაცვით.

2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და დისერტაციის დაცვის შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება აკადემიური ხარისხი, რომლის დასახელება უნდა განისაზღვროს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად.

3. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნას (შეფასებას) განიხილავს მიღებიდან არაუმეტეს 45 სამუშაო დღის ვადაში.

4. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მიერ დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება კანონიერად ითვლება, თუ საბჭოს ესწრებოდა საბჭოს წევრთა ნახევარი მაინც და აკადემიური ხარისხის მინიჭებას ხმა მისცა საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთაგან ნახევარზე მეტმა. ამ პუნქტითგათვალისწინებულ სხდომას ესწრება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის ან/და სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის ერთი წევრი მაინც.

5. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დისერტაციის შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ დამსწრეებს ინფორმაციას აწვდის სადისერტაციო

ნაშრომის დაცვის კომისიის ან/და სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის წევრი. თითოეული დოქტორანტის მიმართ დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების გადაწყვეტილების მიღებისას კენჭისყრა უნდა იყოს ღია.

6. საუნივერსიტეტო სადისერტაცო საბჭო სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, ვალდებულია თავისი წერილობითი დასაბუთება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დაუმტკიცებლობის თაობაზე, წარმოადგინოს გადაწყვეტილების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

7. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების პროცედურის ამსახველი საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმი და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია ინახება შესაბამის ფაკულტეტზე დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებიდან 3 წლის განმავლობაში და შემდეგ გადაეცემა თსუ-ს არქივს.

მუხლი 17. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი

1. დოქტორის აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორის, საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, სტანდარტული დანართითურთ.

2. დიპლომის გაცემამდე დოქტორანტს შეიძლება მიეცეს ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მუხლი 18. დისერტაციის გამოქვეყნება

1. დოქტორანტი ვალდებულია, დისერტაციის დაცვის შემდეგ, ერთი თვის ვადაში, გამოაქვეყნოს დისერტაცია ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით.

2. ფაკულტეტი ვალდებულია, დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შემდეგ, ერთი თვის ვადაში გადასცეს დისერტაცია ელექტრონული ფორმით უნივერსიტეტის გამომცემლობას, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკასა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას. ამავე ვადაში დისერტაციის თითო ბეჭდური და ელექტრონული ეგზემპლარი უნდა გადაეცეს საუნივერსიტეტო და ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკებს.

3. დისერტაცია ელექტრონული ფორმით უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის გამომცემლობის ვებგვერდზე და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ვებგვერდზე.

მუხლი 19. დოქტორანტის მიერ დოქტორანტურის პროგრამის შეცვლის პროცედურები

1. დოქტორანტს აქვს უფლება შეიცვალოს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ ერთი ფაკულტეტის ფარგლებში. საკითხს განიხილავს ფაკულტეტის საბჭო დოქტორანტის განცხადების საფუძველზე, იმ დოქტორანტურის საგნმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობის შემთხვევაში, რომელზე გადასვლაც სურს დოქტორანტს.

2. დოქტორანტის მიერ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ფორმდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე.

მუხლი 20. ერთობლივი სადოქტორო პროგრამები

1. ფაკულტეტზე შეიძლება განხორციელდეს დოქტორანტურის საგანამანთლებლო პროგრამა უნივერსიტეტსა და სხვა უნივერსიტეტ(ებ)ს შორის თანამშრომლობის ფარგლებში დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.
2. დოქტორანტურის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭება.
3. დოქტორანტის ხელმძღვანელობისა და ხარისხის მინიჭების წესები რეგულირდება შესაბამისი ხელშეკრულებით, რომელსაც შეიმუშავებენ მხარეები უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტისა და წინამდებარე დებულების მოთხოვნებით. შესაძლებელია არსებობდეს დისერტაციის დაცვის განსხვავებული რეგლამენტი, რომელსაც შეიმუშავებენ მხარეები. შემუშავებულ დოკუმენტს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო და საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 21. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულებას შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
2. წინამდებარე დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.

სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქცია

1. საწყისი ნაწილი – ნაშრომის საწყისი გვერდები (თავფურცლის გარდა) ინომრება რომაული ციფრებით):

1.1. თავფურცელი (მიეთითოს: უნივერსიტეტის სახელწოდება; ფაკულტეტის სახელწოდება; სადოქტორო პროგრამის სახელწოდება; ავტორის სახელი და გვარი; სადისერტაციო ნაშრომის სათაური; ტექსტი „---------- დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია"; სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის სახელი და გვარი, უნივერსიტეტის, აკადემიური პოზიციისა და ხარისხის მითითებით; ნაშრომის წარდგენის ადგილი და წელი) (იხ. ნიმუში).

1.2. აბსტრაქტი (ტექსტი ქართულ და ინგლისურ ენაზე უნდა იყოს წარდგენილი. თითოეული აბსტრაქტის ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს 500 სიტყვას).

1.3. სარჩევი (აღინიშნოს სადისერტაციო ნაშრომის ყველა ნაწილი მათი თანმიმდევრობის შესაბამისად).

1.4. ცხრილების, გრაფიკებისა და სხვა ილუსტრაციების ჩამონათვალი (თითოეული ცხრილი, გრაფიკი და სხვა თვალსაჩინოება უნდა იყოს დასათაურებული და დანომრილი. ჩამონათვალში მიეთითოს - სათაური, ნომერი და გვერდი).

1.5. აბრევიატურის ჩამონათვალი (აბრევიატურის ჩამონათვალი და შესაბამისი განმარტებები).

2. ძირითადი ნაწილი: ნაშრომის ძირითადი ნაწილი ინომრება არაბული ციფრებით.

2.1. შესავალი (აღიწერება - საკვლევი პრობლემა; კვლევის მნიშვნელობა; კვლევის მიზანი და ამოცანები, საკვლევი კითხვა ან/და ჰიპოთეზა; კვლევის ინოვაციურობა; ნაშრომის სტრუქტურის მოკლე შინაარსობრივი მიმოხილვა);

2.2. კვლევის მეთოდოლოგია (კვლევის ყველა გამოყენებული მეთოდი უნდა იყოს დახასიათებული და მათი გამოყენება დასაბუთებული ეფექტიანობის თვალსაზრისით. დეტალურად და თანმიმდევრულად აღიწეროს კვლევის პროცედურები და/ან ინსტრუმენტები.

2.3. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა/თეორიული ჩარჩო (გამოქვეყნებული სტატიები, წიგნები, მონოგრაფიები, სადისერტაციო ნაშრომები და სხვა სახის მასალები; წყაროების მითითებისას გამოყენებულ უნდა იყოს ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაციის (APA) აკადემიური სტილი (იხილეთ ბმული: https://www.waikato.ac.nz/library/study/referencing/styles/apa)).

2.4. კვლევის შედეგები (შედეგები წარმოდგენილი უნდა იყოს სისტემურად და ლოგიკურად; სასურველია შედეგები განხილულ იყოს ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში ასახულ სხვა მეცნიერთა პოზიციებთან და მიგნებებთან მიმართებაში).

2.5. დასკვნები ან/და რეკომენდაციები (ყველა ძირითადი შედეგის შეჯამება და საკვლევი საკითხის შემდგომი შესწავლისთვის ჩასატარებელი კვლევების პერსპექტივები/ რეკომენდაციები).

3. დასკვნითი ნაწილი:

3.1. ბიბლიოგრაფია (ყველა გამოყენებული წყარო - ელექტრონული თუ ბეჭდური მასალები მიეთითოს ანბანური თანმიმდევრობით).

3.2. დანართები (მასალა, მათ შორის ცხრილები და გრაფიკები, რომლის სრული განთავსება ძირითად ნაწილში არ არის რეკომენდირებული).

ნაშრომის დიზაინი

სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა (ძირითადი ნაწილი) უნდა იყოს არანაკლებ 125 გვერდისა, ხოლო უცხოენოვანი ვერსიის (ძირითადი ნაწილი) მოცულობა 30-45 გვერდი. სადისერტაციო ნაშრომის ფორმატირებისას გამოიყენება Sylfaen-ის შრიფტი, ხოლო ინგლისური ტექსტისთვის Times New Roman. გვერდის საზღვრები: მარჯვნივ - 1,5 სმ., მარცხნივ - 3 სმ., ზემოთ- 2 სმ., ქვემოთ - 2 სმ. ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომა - 12, აბრევიატურის შრიფტის ზომა – 14.; ტექსტის სტრიქონებს შორის მანძილი - 1.5.

სადისერტაციო ნაშრომის თავფურცლის ნიმუში:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა ...

ავტორის სახელი და გვარი

სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება

სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ი:

სახელი და გვარი – უნივერსიტეტი, ფაკულტეტი, აკადემიური თანამდებობა, აკადემიური ხარისხი

თბილისი

წელი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დანართი № 1

განაცხადის ფორმა

სადოქტორო-კვლევითი პროექტის გეგმა (პროსპექტუსი)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სახელი, გვარი:

სადოქტორო პროგრამა:

სადოქტორო კვლევითი პროექტის სათაური:

ა) საკვლევი თემა:

(განსაზღვრეთ საკვლევი თემა და დაასაბუთეთ მისი აქტუალობა). სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 200;

ბ) კვლევის მიზანი და ამოცანები, საკვლევი კითხვები, ან/და ჰიპოთეზები (საჭიროების შემთხვევაში). სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 150;

გ) კონცეპტუალური/თეორიული ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა:

(წარმოადგინეთ ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც განსაზღვრავს საკვლევი თემის შესახებ არსებულ ცოდნას და ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას).

სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 500

დ) მეთოდოლოგია და კვლევის განხორციელების ეტაპები:

(აღწერეთ კვლევის მეთოდოლოგია, რომლის საშუალებით იქნება მიღწეული კვლევის მიზანი. სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 400

ხელმოწერა: თარიღი:

დანართი 2

პირველსემესტრელი დოქტორანტების თემების დამტკიცება

დოქტორანტის სახელი,გვარი	**სადოქტორო პროგრამა**	**სადისერტაციო თეზისი**	**სამეცნიერო ხელმძღვანელი**
მარიამ მიქიაშვილი	პოლიტიკის მეცნიერება	საქართველოს პოლიტიკური სპექტრის მიერ ქვეყნის ევროპული იდენტობის ინტერპრეტაცია რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე	ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა
შოთა ნარსია	პოლიტიკის მეცნიერება	საარჩევნო სისტემა და პოლიტიკური პარტიების და ამომრჩევლების სტრატეგიული ქცევა საქართველოში (2004-2024)	ასოცირებული პროფესორი ზვიად აბაშიძე
ინგა ფუტკარაძე	პოლიტიკის მეცნიერება	საქართველოს ევროინტეგრაციული პოლიტიკა და ევროკავშირის რეკომენდაციების გავლენა საქართველოს დემოკრატიულ განვითარებაზე	პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე
ნიკა გიგაური	პოლიტიკის მეცნიერება	ევროპაში მცხოვრები ქართული დიასპორის პოლიტიკური სოციალიზაციისა და სამოქალაქო აქტივიზმის თავისებურებები	ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა
ლუკა პანაიოტი	საერთაშორისო ურთიერთობები	დასავლეთ ბალკანეთისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ასოცირებული ტრიო:შედარებითი ანალიზი რეგიონული ინტეგრაციის კონტექსტში	ასოცირებული პროფესორი კონსტანტინე შუბითიძე
ირაკლი გუნია	საერთაშორისო ურთიერთობები	კულტურის როლი რუსეთის პოლიტიკაში საქართველოს მიმართ	ასოცირებული პროფესორი ფიქრია ასანიშვილი
თამარ სამხარაძე	საერთაშორისო ურთიერთობები	ხელოვნური ინტელექტის გამოყენება საბრძოლო მოქმედებებში	პროფესორი თორნიკე თურმანიძე
ირაკლი ასანიშვილი	საერთაშორისო ურთიერთობები	რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენა პოსტსოციალისტური ქვეყნების ევროპული ინტეგრაციის პროცესზე (შემთხვევის შედარებითი ანალიზი - საქართველო, ბულგარეთი, რუმინეთი, სერბეთი)	პროფესორი ზურაბ დავითაშვილი
ბექა ფარსადანიშვილი	საერთაშორისო ურთიერთობები	საგარეო პოლიტიკის გავლენა დაბალი, საშუალო და მაღალი	ასოცირებული პროფესორი კონსტანტინე შუბითიძე

		ტერორისტული რისკის წინაშე მყოფი ქვეყნების კონტრტერორისტულ პოლიტიკაზე	
ანა თვალავაძე	მასობრივი კომუნიკაცია	სამოგზაურო ბლოგინგი კულტურული პრეფერენციების კონტექსტში (საქართველოსა და ევროპული ქვეყნების გამოცდილება)	პროფესორი მანანა შამილიშვილი
ანნა ტურავა	მასობრივი კომუნიკაცია	ამბის თხრობა ქართულ ენაზე ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით: ავტომატიზებული ჟურნალისტიკის ეთიკური ასპექტები	ასოცირებული პროფესორი ნათია კუპრაშვილი
მაკა გოგილაშვილი	სოციოლოგია	აგრარული პოლიტიკის როლი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში-ქართული გამოცდილების ანალიზი/შესწავლა	ასოცირებული პროფესორი ანა დიაკონიძე
თორნიკე ჩივაძე	სოციოლოგია	ელიტები და პოსტსაბჭოთა კაპიტალიზმის ფორმირება საქართველოში	პროფესორი გია ჟორჟოლიანი
მარიამ ხაზარაძე	სოციოლოგია	ჩინეთის ეკონომიკური ტრანსფორმაციის სოციოლოგიური ასპექტები 1980 წლის შემდგომ პერიოდში(ჩინეთის პოლისური ბანკების ზეგავლენა საბაზრო სტრუქტურასა და სოციალურ კეთილდღეობაზე)	პროფესორი ამირან ბერძენიშვილი/მოწვეული ლექტორი ნინო პაპაჩაშვილი
ალექსანდრე შახნაზაროვი	სოციოლოგია	მიგრაციის ფაქტორები და ტენდენციები მდგრადი განვითარების პერსპექტივაში-თანამედროვე საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების მაგალითი	ასოცირებული პროფესორი ნინო დურგლიშვილი
ირაკლი კოტიაშვილი	სოციოლოგია	მიმების გავლენა მაკავშირებელ და გამაერთიანებელ სოციალურ კაპიტალზე საქართველოს ახალგაზრდებში	პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი
ზურაბ ტატანაშვილი	სოციალური მუშაობა	უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ხანდაზმულთა სოციალურ მომსახურებაში - საქართველოს 2020- 2024 წლების სოციალური პოლიტიკის და პრაქტიკის ანალიზი	ასოცირებული პროფესორი თამარ მახარაძე/ასოცირებული პროფესორი ნათელა ფარცხალაძე

სადისერტაციო ნაშრომის სათაურის დაზუსტების საკითხი

დოქტორანტის სახელი,გვარი	სადოქტორო პროგრამა	სემესტრი	ძველი სათაური	დაზუსტებული სათაური	სამეცნიერო ხელმძღვანელი
ნინო ჯანაშია	კულტურის და მედიის სოციოლოგია	3	სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების დისკურსული განსხვავებები კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შესახებ საქართველოში	სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების დისკურსული განსხვავებები კლიმატის ცვლილების პოლიტიკასთან დაკავშირებით საქართველოსა და გერმანიაში	ასოცირებული პროფესორი ლია წულაძე
ნინო სამხარაძე	პოლიტიკის მეცნიერება	6	ქართული ნაციონალური პროექტი დამოუკიდებლობის წლების მიჯნაზე:საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის მემკვიდრეობა და ეროვნული იდენტობის კონსტრუირება	ქართული ნაციონალური პროექტი დამოუკიდებლობის წლების მიჯნაზე:საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის მემკვიდრეობა და ეროვნული იდენტობის კონსტრუირება ქართული ფეხბურთის მაგალითზე	ასოცირებული პროფესორი ზვიად აბაშიძე
ლალი დევიძე	კონფლიქტოლოგია	3	დისკუსიები ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებში - 1997-1998 წლებში	„მოლაპარაკებების ეფექტიანობა ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებში 1990-2008 წლებში - შედეგები და გამოწვევები“.	პროფესორი გუგული მაღრაძე
სალომე კანდელაკი	პოლიტიკის მეცნიერება	6	მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ძალაუფლებრივი ინტერაქციის გავლენა	მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ძალაუფლებრივი ინტერაქციის გავლენა	პროფესორი კორნელი კაკაჩია

			პოსტსოციალისტური სახელმწიფოების დემოკრატიზაციის პროცესზე	საქართველოს, უკრაინის და მოლდოვის დემოკრატიზაციის პროცესზე	